

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მომზადება განაპირობა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის, აგრეთვე ნოტარიატის მოწყობასა და ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის სრულყოფის აუცილებლობამ.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს ნოტარიატის ინსტიტუტის სამართლებრივი პოტენციის სრულად გამოყენებას, ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პროცედურის დახვეწას, სასამართლოების განტვირთვას სადავო საქმეებისაგან, საკონტრაქტო ვალდებულებათა იძულებითი აღსრულების სწრაფი და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების შექმნას, საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, სანოტარო საქმიანობის განხორციელებისას მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნას

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

პროექტით შემოთავაზებული ცვლილებების შესაბამისად, აღარ იარსებებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნის ინსტიტუტი – კანონით დადგენილი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში ნოტარიუსობის მსურველ პირს მიენიჭება სანოტარო საქმიანობის განხორციელების უფლება. კერძოდ, ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება შეეძლება საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება ან აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მიღებული აქვს სანოტარო საქმიანობის ლიცენზია. სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაცემას უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტრო, კანონით დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში.

წარმოდგენილი ცვლილებების მნიშვნელოვანი სიახლეა აგრეთვე სამოქმედო ტერიტორიებად დაყოფილი სანოტარო ბიუროების ინსტიტუტის გაუქმება. ამასთან, დღეის მდგომარეობით, სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მოქალაქე ვალდებულია მიმართოს სანოტარო ბიუროს სამკვიდროს ადგილმდებარეობის მიხედვით. ცვლილებების მიზანია, რომ სამემკვიდრეო საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქე არ იყოს შეზღუდული ზემოხსენებული ვალდებულებით. ნოტარიუსს ექნება სანოტარო ბიურო, რომლის ადგილსამყოფელს აირჩევს თავად ნოტარიუსი, ხოლო სამემკვიდრეო საკითხებთან დაკავშირებით სანოტარო მოქმედების შესასრულებლად ნებისმიერ პირს შეეძლება მიმართოს ნებისმიერ ნოტარიუსს, მიუხედავად ნოტარიუსის სამოქმედო ტერიტორიისა. ამდენად, ნოტარიუსს ექნება იმის მოტივაცია, რომ ყველა მოქალაქეს გაუწიოს კვალიფიციური და სრულყოფილი მომსახურება, აღნიშნულის

შედგება კი შეიქმნება კონკურენტუნარიანი გარემო, რაც ხელს შეუწყობს უფრო სწრაფი და ეფექტიანი სანოტარო მომსახურების დანერგვას.

ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პროცესის ახლებური რეგულირებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული საკითხების გადახედვის აიჯულელობის საკითხი. პროექტის შესაბამისად, ნოტარიუსობის მსურველ პირს თანამდებობის დასაკავებლად მოუწევს საკვალიფიკაციო გამოცდის (ტესტირების) გავლა, რომელიც შედგება ორი ეტაპისაგან – პროფესიული ნაწილისა და ზოგადი უნარ-ჩვევებისაგან (ვერბალური და მათემატიკური ნაწილი). კონკურსის ჩატარების პირობებს და წესს დაადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და დაამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს თავად ნოტარიუსთა პალატა. ამასთან, პროექტი მიზნად ისახავს, რომ გარკვეული შეღავათი მიეცეთ იმ პირებს, რომელთაც აქვთ ჩაბარებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით. ასეთი პირები გათავისუფლდებიან ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროფესიული ნაწილის ჩაბარების ვალდებულებისაგან. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან გათავისუფლდებ აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობით. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები კარგავს ძალას, თუ პირი გამოცდის ჩაბარებიდან 1 წლის განმავლობაში არ შეუდგება სანოტარო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად პირი ვალდებულია ხელახლა ჩააბაროს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მიიღოს სანოტარო საქმიანობის ლიცენზია. კანონპროექტით მოცემულია სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის, მისი მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების საფუძვლები და წესი.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნოტარიუსის სამუშაოზე არყოფნის დროისათვის ნოტარიუსის შუამდგომლობით იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით ნიშნავს პირს, რომელიც ნოტარიუსს შეენაცვლება არა უმეტეს ერთი წლის ვადით. ახალი პროექტის შესაბამისად, შესაძლებელი ხდება ნოტარიუსის შემცვლელი პირის დანიშვნა მოხდეს უფრო მარტივი წესით, ვიდრე ეს მოქმედი კანონით არის დადგენილი. კერძოდ, ნოტარიუსს თავად ექნება უფლებამოსილება საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით სამუშაოზე არყოფნის დროისათვის დანიშნოს შემცვლელი პირი. ნოტარიუსი შემცვლელ პირთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომლის ასლი წარედგინება საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. ნოტარიუსის შემცვლელად შეიძლება დანიშნოს პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა (ჩატარებული როგორც კანონის ამოქმედების შემდგომ, ისე მის ამოქმედებამდე არსებული წესის მიხედვით).

ცვლილებების პროექტი მიზნად ისახავს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატების გაუქმებას. შედეგად, კომპეტენციას მიკუთვნებული მთელი რიგი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას შეითავსებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

წარმოდგენილი პროექტით იხვეწება ნოტარიუსობის კანდიდატობასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხები.

კანონპროექტის მიღების შემდეგ სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებას, რომელიც შეიცავს დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნას, ექნება სააღსრულებო ძალმოსილება. დღეს მოქმედი ნორმებისაგან განსხვავებით, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის გაცემა შესაძლებელი გახდება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის მოთხოვნებზეც, იმ პირობებში როდესაც მოვალე არ ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ იმ ვალდებულებებს, რომელთა უზრუნველსაყოფადაც გამოყენებულია უძრავი ნივთი. ეს გარემოება უზრუნველყოფს რთული წერილობით ფორმით დადებული იპოთეკის და გირავნობის ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას სასამართლოსგარეშე წარმოების წესით – ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. დღეს მოქმედი კანონმდებლობით ამგვარი შესაძლებლობა დაშვებულია მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული გირავნობის ხელშეკრულებების მიმართ, რაც გაუმართლებლად ზღუდავს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას. ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობის გაფართოება შეამცირებს სასამართლო დავების რიცხვს და გამოიწვევს სასამართლოების განტვირთვას, დამკვიდრდება საკონტრაქტო ვალდებულებათა იძულებითი, არასასამართლო აღსრულების ეფექტური და სწრაფი მექანიზმი, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს, შეამცირებს სასამართლოს ხარჯებს.

კანონპროექტის მომზადების პროცესში შესწავლილ და გათვალისწინებულ იქნა ევროპარლამენტის დაკვეთით ევროგაერთიანების ნოტარიატის საბჭოს მიერ 2008 წელს განხორციელებული შედარებითი კვლევა ავთენტური დოკუმენტების შესახებ, რომელმაც მოიცვა შემდეგი ქვეყნები: ინგლისი (როგორც საერთო სამართლის სისტემის ქვეყნის მაგალითი), საფრანგეთი (როგორც სამოქალაქო სამართლის ან რომანული სამართლებრივი სისტემის მაგალითი, ნაპოლეონის კანონმდებლობის ქვეტიპი), გერმანია, როგორც სამოქალაქო სამართლისა და რომანული სამართლებრივი სისტემის მაგალითი, გერმანიკული სისტემის ქვეტიპი), პოლონეთი და რუმინეთი (როგორც სამოქალაქო სამართლისა და რომანული სამართლებრივი სისტემის მაგალითი, ახალი წევრ-სახელმწიფოს ქვეტიპი) და შვედეთი (როგორც ჩრდილოეთის ან სკანდინავიური ლეგალური სისტემის მაგალითი).

აღსანიშნავია, რომ 1994 წლის 18 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ევროკავშირში ნოტარიატის მდგომარეობისა და ორგანიზაციის შესახებ, რომლითაც ევროპარლამენტმა განსაკუთრებულად აღიარა ნოტარიუსის „პრევენტული არასასამართლო ფუნქცია, რაც საშუალებას იძლევა მთლიანად თავიდან აცილებულ იქნას ან შემცირდეს დავების წარმოშობის რისკი.“

ნოტარიატის ამგვარი ფუნქციით აღჭურვა სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართლებრივ პოლიტიკას.

„სამართლებრივი დახმარებისა და სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის (მინსკი, 22 იანვარი, 1993 წ.) 51-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით აღსრულებას ექვემდებარება დსთ-ს ქვეყნების სანოტარო აქტები ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით.

სამართლებრივი დახმარებისა და სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ კონვენციის (კიშინიოვი, 7 ოქტომბერი, 2002 წ.) 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის

შესაბამისად, აღსრულებას ექვემდებარება დსთ-ს ქვეყნების სანოტარო აქტები ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით.

ევროკავშირის №44/2001 (22.12.2000წ.) რეგლამენტის (რომელიც ეხება სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების საკითხებს) 57-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღსრულებას ექვემდებარება ავთენტური აქტები. სანოტარო აქტები მიეკუთვნება ავთენტური აქტების რიცხვს. შესაბამისად, სანოტარო აქტები სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად ექვემდებარება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღიარებასა და იძულებითი წესით აღსრულებას. აღსანიშნავია, რომ მითითებულმა რეგლამენტმა შეცვალა ბრიუსელის ანალოგიური კონვენცია (1968 წლის 27 სექტემბერი) და მან მიიღო ევროკავშირის ნორმატიული აქტის სახე.

ევროსაბჭოს სამართლებრივი სივრცეში მიმდინარეობს ნოტარიატის ინსტიტუტის ფუნქციების გაფართოება. 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს ტამპერში შემდგარმა ევროპულმა საბჭომ „ევროპაში თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნის“ მიზანი დასახა. ამ საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ექსპერტთა კომისია, რომელსაც დაევალა მოქმედებათა პროგრამის შემუშავება. ერთ-ერთ უპირველეს თემად მან დაასახელა „კონფლიქტების გადაწყვეტის სასამართლოსგარე გზების“ პრობლემა.

ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა 1989 წელს აშშ-ში გამოქვეყნებული გამოკვლევა (წყარო: თორტ ჩოსტ ტრენდ: 6 ინტერნაციონალ პერსპექტივე. გამოკვლევა გამოქვეყნა თილდინგჰასტ, შ, 1989), რომელშიც შედარებულია უფლებათა სასარჩელო წარმოების გზით დაცვის პროცესში გაწეული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხარჯები ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან მიმართებით. ხარჯებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის რეესტრების წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული თანხები, სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული თანხები და სხვა. გამოკვლევაში მითითებულია შემდეგი ციფრები:

– ესპანეთი: 0,4% (ხარჯის ოდენობა ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან მიმართებით);

- იტალია: 0,5%;
- გერმანია: 0,5%;
- ბელგია: 0,6%;
- ავსტრია: 0,6%;
- საფრანგეთი: 0,6%;
- შვეცარია: 0,8%;
- აშშ: 2,6%.

მონაცემთა შედარება ადასტურებს, რომ ანგლო-საქსური სამართლის სისტემის აშშ-ში ხარჯები დაახლოებით 3-7-ჯერ აღემატება რომანულ-გერმანული სამართლოს სისტემის ქვეყნების ანალოგიურ ხარჯებს. განსხვავება გამოწვეულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორცაა ოფიციალური დოკუმენტებისათვის (მათ შორის, სანოტარო აქტებისათვის) მტკიცებულებისა და სააღსრულებო ძალმოსილების მინიჭება, საჯარო რეესტრების არსებობა და საჯარო რეესტრების ჩანაწერებისათვის უტყუარობის და სისრულის პრეზუმფციის მინიჭება, ლათინური (რომანული) ნოტარიატის არსებობა, რაც იძლევა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მრჩევლის – ნოტარიუსის მომსახურების (სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფებით) შესაძლებლობას.

კანონპროექტით აგრეთვე მოწესრიგებულია ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი: კერძოდ სააღსრულებო ფურცლის მიღებაზე

უფლებამოსილი პირის ვინაობა, სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე პასუხისმგებელი ნოტარიუსის დადგენის წესი და სხვა პროცედურული ნორმები.

პროექტი შეიცავს დათქმას, რომლის შესაბამისად, ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ ნოტარიუსები და ამავე კანონით დადგენილი წესით მათთან გათანაბრებული პირები, რეგისტრაციაში ტარდება ელექტრონულ სანოტარო რეესტრში. აღნიშნული განპირობებულია სანოტარო მოქმედებათა განხორციელებისას ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვისა და ერთიან ელექტრონულ სანოტარო რეესტრში ყველა შესრულებული სანოტარო მოქმედების სისტემატიზაციის აუცილებლობით.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას. ხარჯების გაწვევის აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთ ხარჯებს გაიღებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის მოსაკრებლის სახით გადახდილი ოდენობით.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტი გამოიწვევს დადებით ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებიც თავიანთ მოთხოვნებს მოვალეთა მიმართ დაიკმაყოფილებენ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რითაც თავიდან აიცილებენ სასამართლო ხარჯებს.

ნოტარიუსობის კანდიდატმა სტაჟირების პერიოდში შეიძლება მიიღოს ანაზღაურება. ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა.

კანონპროექტი აღგენს ნოტარიუსობის კანდიდატის მიერ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასურის, აგრეთვე სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებას.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი აღგენს ნოტარიუსობის კანდიდატის მიერ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასურს 300 ლარის ოდენობით, აგრეთვე მითითებას აკეთებს „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც აღგენს სანოტარო საქმიანობის ლიცენზიის მოსაკრებელს 300 ლარის ოდენობით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს, პირიქით, ხდება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სამართლებრივ სივრცესთან ჰარმონიზება (იხ. ზემოთ).

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, პირიქით, გაჩნდება შესაძლებლობა, საქართველოში გაცემული ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე იძულებითი წესით აღსრულდეს იმ სახელმწიფოებში, რომლებთანაც საქართველოს აკავშირებს ორმხრივი და/ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ. მაგალითისათვის დსთ-ის ქვეყნებში (თანახმად მინსკისა და კიშინიოვის ზემოთ დამოწმებული კონვენციებისა), აგრეთვე ბულგარეთსა და თურქეთში (თანახმად ორმხრივი ხელშეკრულებებისა).

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებების შემუშავებაში**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტები შეფასება**  
არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.